

**28.საქართველოს პარლამენტის დადგენილება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ, 1996 წლის 25 დეკემბერი.**

საქართველოს პარლამენტის დადგენილება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ

1996 წლის 23 ნოემბერს ჩატარებულმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან დევნილ და ლტოლვილ ამომრჩეველთა პლებისციტმა ცალსახად და ერთხმად დაგმო აფხაზეთის სეპარატისტული დაჯგუფების მიერ აღნიშნულ დღეს ორგანიზებული ე.წ. არჩევნები, ხოლო საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის ნორმათა საფუძველზე საქართველოს პარლამენტმა უკანონოდ და ბათილად ცნო მისი შედეგები. გამომდინარე იქიდან, რომ ამჟამად აფხაზეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ოკუპირებულია და შეუძლებელია მისი უფლებების ჩატარება,

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

გაუგრძელდეს უფლებამოსილების ვადა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის ფაქტობრივ აღდგენამდე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია.

1996 წლის 25 დეკემბერი.

(საქართველოს პარლამენტის უწყებანი. საკანონმდებლო დამატება, 1997, # 1-2 (33-34/7), გვ. 2)